

### ოქმი № 3

## ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2009 წლის 18 თებერვლის სხდომა

### სხდომას ესწრებოდნენ

საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი, რ. ბანცური, მ. ელიაშვილი, ლ. ევრემიძე, ხ. ინასარიძე, ნ. ინასარიძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, ო. ჯოსაძე

სათათბირო ხმის უფლებით: ნ. ფარცვანია (ინსტიტუტის დირექტორი).

საბჭოს მდივანი ლ. გოგოლაური

### დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატების წარდგენა.

2. ინსტიტუტის საპატიო წევრთა არჩევნები.

1. **მოისმინეს:** თეორიული ფიზიკის განყოფილების გამგის ინფორმაცია განყოფილების სხდომის შესახებ. განყოფილება შუამდგომლობს საბჭოს წინაშე, რომ ფიზიკის დარგში წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატებად საბჭომ განიხილოს შემდეგი კანდიდატურები: ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი მერაბ ელიაშვილი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ვახტანგ გარსევანიშვილი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე კვინიხიძე. გნყოფილების გამგემ საბჭოს გააცნო სათანადო დასაბუთებების ტექსტები.

2. **აზრი გამოთქვეს:** თ. ქადეიშვილმა, მ. ჯიბლაძემ, ო. ჭკადუამ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს წამოყენებულ კანდიდატურებს.

3. **მოისმინეს:** გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილების გამგის ინფორმაცია განყოფილების სხდომის შესახებ. განყოფილება შუამდგომლობს საბჭოს წინაშე, რომ მათემატიკის დარგში წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატებად საბჭომ განიხილოს ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორის, პროფესორ თორნიკე ქადეიშვილის კანდიდატურა. საბჭომ მოისმინა აკად. ნოდარ ბერიკაშვილის სათანადო დასაბუთება.

4. **აზრი გამოთქვეს:** ო. ჯოსაძემ, ნ. ფარცვანიამ, მ. მანიამ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს თ. ქადეიშვილის კანდიდატურას.

5. **მოისმინეს:** საბჭოს წევრ მამუკა ჯიბლაძის გამოსვლა. მან წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატად მათემატიკის დარგში წამოაყენა ინსტიტუტის საპატიო წევრის, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორის, პროფესორ თეიმურაზ ფირაშვილის კანდიდატურა. მანვე წარმოადგინა სათანადო დასაბუთების ტექსტი.

6. **აზრი გამოთქვეს:** ხ. ინასარიძემ, თ. ქადეიშვილმა, ნ. ინასარიძემ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს თ. ფირაშვილის კანდიდატურას.

7. **დაადგინეს:** საბჭომ მოიწონა წარმოდგენილი დასაბუთებები, რომელთა ტექსტები ოქმს თან ერთვის.

8. **მოისმინეს:** თ. ქადეიშვილის წინადადება კანდიდატურათა კენჭისყრა ჩატარდეს ფარულად.

9. **დაადგინეს:** საბჭო დაეთანხმა ამ წინადადებას.

ჩატარდა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საბჭოს 13-მა წევრმა.

- მ. ელიაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 12-მა წევრმა;
- ვ. გარსევანიშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 13-მა წევრმა;
- ა. კვინიხიძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 11-მა წევრმა;
- თ. ქაღვიშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 12-მა წევრმა;
- თ. ფირაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 13-მა წევრმა.

**დაადგინეს:** საბჭო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატებად წარმოადგენს:

თეორიული ფიზიკის განყოფილების მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვახტანგ გარსევანიშვილს (ფიზიკა);

თეორიული ფიზიკის განყოფილების გამგეს, ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მერაბ ელიაშვილს (ფიზიკა);

თეორიული ფიზიკის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ალექსანდრე კვინიხიძეს (ფიზიკა);

ინსტიტუტის საპატიო წევრს, ლესტერის უნივერსიტეტის პროფესორს, ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორს თეიმურაზ ფირაშვილს (მათემატიკა);

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილების გამგეს, ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თორნიკე ქაღვიშვილს (მათემატიკა).

## **2. ღია კენჭისყრით ინსტიტუტის საპატიო წევრებად საბჭომ ერთხმად აირჩია:**

- ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ფირაშვილი;
- ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ჯანელიძე;
- ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იოსებ გუბელაძე;
- ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ესტატე ხმალაძე.

**დანართი:** წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა წარდგენების დასაბუთებები.

**სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე**

**თორნიკე ქაღვიშვილი**